თუმცა პირადად არ გიცნობთ და „საქართველოზე" არ დაეწერეთ, მაგრამ თქვენი ადრესი გავიგეთ და გიგზავნით.

# საქართველო

თავისუფალი ორგანო

წლიური ფასი—**5** მანეთი
თვითეული ნომერი—**25** კაპ.

**№ 3.** წელიწადი პირველი. 1 ივნისი 1903 წ. **№ 3.**

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვინც თანაგვიგრძნობს, მოგვაწოდონ ხოლმე ყოველგვარი მასალა, როგორც ქართულის, ისე ფრანგულის გამოცემისათვის: დოკუმენტები, წიგნები, კორესპონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გაზეთი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ შიგ ადგილი დაეთმობა ყოველგვარ მიმართულების წერილებს, რომელთაც აზრად ექნებათ ქართველ ხალხის ინტერესთა გამოსარჩლება. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნასაც გაუკეთებს.

მკითხველს ვსთხოვთ ყოველი ნომერი „საქართველოსი", წაკითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს ხოლმე, რათა ამ სახით ხელი შეუწყოს ჩვენის გაზეთის გავრცელების საქმეს.

ყოველი შემოწირულება როგორც ფულით, ისე წიგნებით, დიდის მადლობით მიიღება.

---

## შინაარსი;

საქართველოს ისტორიული უფლებანი და დღევანდელი საჭიროებანი.—ქართულ ცხოვრების მატიანე (მოწერილი ამბები).—ჟენევაში მომხდარ პარპაროხობის გამო.—ფინლანდიელების მოწოდება.—თანამედროვე პოლონეთის პოლიტიკური პარტიები.—რუსეთის ქრონიკა.—განცხადება.

---

## საქართველოს ისტორიული უფლებანი და დღევანდელი საჭიროებანი,

წინა წერილებში გვქონდა ლაპარაკი საქართველოს ეროვნულ მომავალ ავტონომიაზედ. ჩვენ ვსთქვით, ავტონომია ქართველების ეროვნულ მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ავტონომია ჩვენი ხალხის მატერიალურ აღორძინების საშუალებად გახდება და ამგვარი სასურველი მომავალი საქართველოს წეს-წყობილებისა, რუსეთის სახელმწიფოს ევოლუციასაც არ ეწინააღმდეგებათქო. ყველა ეს საბუთები სახეში გვქონდა მიღებული და ამიტომაც ვცდილობდით პრაქტიკულ ნიადაგს არ ავცდენილიყავით.

ავტონომიურ მისწრაფებათა გამართლება-დასაბუთებისათვის ჩვენი დღევანდელი ცხოვრების საჭიროებანი ვიმოწმეთ, რადგან ჩვენი ხალხის დაცემა სწორედ ამ საჭიროებათ დაუკმაყოფილებისაგან არის გამოწვეული. სანამ ჩვენი ხალხი თავის თავის პატრონად არ გახდება, ვამბობდით ჩვენ, მისი ზნეობრივი ამაღლება შეუძლებელია. სანამ მას კანონიერი უფლება არ მიეცემა ეკონომიურ ცხოვრების რადიკალურ რეორგანიზაციისათვის, იგი დაქვეითებული დარჩება. სანამ სამოქალაქო კულტურულ დაწესებულებებში ქართულ ენას არ მიეცემა უპირატესობა, ქართველ ხალხის გონებრივი განვითარება შეფერხებული იქმნება. ამგვარი განსჯა დავუდევით საფუძვლად ჩვენს პოლიტიკურ პროგრამას.

ხოლო ჩვენგან ამორჩეული პოლიტიკური ნიადაგი სხვაგვარ მოსაზრებათა მიხედვით უფრო მკვიდრ და საიმედო ნიადაგად ხდება. ჩვენ ვიგულისხმებთ საქართველოს ისტორიულ უფლებებს, რომელნიც 1783 წლის ტრაქტატში გამოსახული და რომელთაც, მიუხედავად დროთა მსვლელობისა, დღეს ისეთივე სიმკვიდრე და ძალა აქვსთ, როგორი ძალაც მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ჰქონდათ.

ზოგიერთნი იტყვიან, რა აზრი აქვს ისტორიულ უფლებათა აღდგენის შესახებ ლაპარაკსაო. ხალხს ყოველთვის ერთნაირი ძალა არ შესწევს. სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ერის ძალა ხშირად მცირდება, კლებულობს და სუსტდება. ამ შემთხვევაში ძველებურ დიდებაზედ ლაპარაკს, წართმეულ უფლებებზე დავას უფრო ეროვნულ ცრუ-მედიდურობის ხასიათი აქვსო, ვიდრე სხვა რაიმე სერიოზული მნიშვნელობა. ძველი საბერძნეთი, მაგალითად, დიდებული იყო. საბერძნეთის საზღვრები შორეულ ქვეყნების საზღვრებს სწვდებოდნენ. რას ეტყოდა განათლებული კაცობრიობა დღევანდელ საბერძნეთის სამეფოს, რომ ამ სამეფოს დღეს ინდოეთზე გამოეცხადებინა თავისი პრეტენზია, იმ მოსაზრების ძალით, რომ ოდესღაც ალექსანდრე მაკედონელს მცირე აზიასთან ერთად პენჯაბიც ჰქონდა დაპყრობილიო. ისტორიული უფლება ცარიელი სიტყვაა, თუ მის აღსადგენად ხალხს რეალური ძალა არ შესწევსო.

ყოველივე ეს სრული ჭეშმარიტებაა. ყოველმა ხალხმა თავის ძალ-ღონის შესაფერი იდეალი უნდა წამოაყენოს წინ. წარსული დიდება მხოლოდ წამაქეზებელ ძალად თუ გამოადგება ამ ხალხს. ხოლო მისი მოქმედება წარსულის მოგონებით კი არა, არამედ თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებით უნდა იყოს გამოწვეული. წარსულს მაშინ აქვს თანამედროვე მნიშვნელობა, როდესაც იგი აწინდელ ცხოვრებასთანაა მჭიდროთ დაკავშირებული, როდესაც, მიუხედავად გარეგან ცხოვრების ცვლილებისა, ამ წარსულს, ახალს პირობებში, ახალი შინაარსი და სიცხოველე ეძლევა, როდესაც ხალხს დღეს ებადება წარსული ცხოვრების უსამართლობის გაუქმების სურვილი. ამ შემთხვევაში ისტორიულ უფლებაათა შესახებ დავას რეალური მნიშვნელობა ეძლევა და ამ უფლებათა აღდგენისაკენ მიმართული მოქმედება პრაქტიკულ ხასიათს არა ჰკარგავს. ამნაირია ქართველების მდგომარეობაც, თანამედროვე ჩვენი საჭიროებანი და მეფე ერეკლეს ტრაქტატის შინაარსი რომ შევუფარდოთ ერთმანეთს. ამ ტრაქტატში ჩვენ ვპოვებთ იმგვარ პოლიტიკურ სიბრძნეს, რომელიც დღესაც არ არის ჩვენთვის დაძველებული და რომლის შეთვისებისათვის დღეს მეტი ღონე და მომზადება შეგვწევს. ეს გარემოება ერთი ორად გაგვიადვილებს ბრძოლას, ერთი ორად გაგვამხნევებს, გულს გაგვიკეთებს, რადგან ხელში გვაძლევს ახალ იარაღს, ახალ საბუთს, რომელსაც მომავალ საერთაშორისო სასამართლოს წარვუდგენთ, თუ სხვა გზით ვერ მოვიპოვეთ სამართალი.

მაშ დავუბრუნდეთ წარსულს და ვნახოთ, რა დავკარგეთ ამ წარსულში. რაც დავკარგეთ, შევადაროთ იმას, რაც დღესა გვწადია და ამის შემდეგ დავასკვნათ, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ისტორიულ უფლებათა შესახებ ლაპარაკს და დავას; აგრეთვე რა მკვიდრი ისტორიკო-იურიდიული საფუძველი უდევს ჩვენს პოლიტიკურ მისწრაფებათ.

1783 წელს მეფე ერეკლე დედოფალ ეკატერინე დიდს პირობით შეეკრა. ამ ხელშეკრულობის ერთ-ერთ მუხლში განმარტებულია, როდემდის უნდა ჰქონდეს ძალა ამ ხელშეკრულობას და რა გარემოებაში შეიძლება ხელშეკრულობის რომელისამე მუხლის გადასწორება, ან გაუქმება. «ზავი უკვე ესე ანუ პირობა *იქნება საუკუნოდ*», ვკითხულობთ ტრაქტატის მეთორმეტე მუხლში, «მაგრამ თუ განხილულ იქმნეს რაიმე საჭიროდ შეცვალებად, ანუ დართვად ურთიერთისათვის სარგებლისა, *აქვს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისაო*».

ამრიგად, ამ მუხლში ორი აზრია გამოსახული. 1783 წლის ხელშეკრულობას სამუდამო ხასიათი უნდა ჰქონოდა. ყოველი ცვლილება (თუ საჭიროდ დაინახავდნენ ცვლილების მოხდენას) ორთავე მოკავშირეთა თანხმობით უნდა მომხდარიყო.

აქვს თუ არა რაიმე იურიდიული ძალა ამ მუხლს? თუ საზოგადოთ საერთაშორისო ხელშეკრულობას, განსაზღვრულ კანონზედ დაფუძნებულს, რაიმე მნიშვნელობა და ძალა აქვს, ამ ჩვენს მუხლსაც იგივე ძალა და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ან იქნება ხელშეკრულობა პატივსადებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ორივე მოკავშირე თანაბრივ ღონიერნი და ძლიერნი არიან? და იგი პატივსადები არ არის, როდესაც დიდი და ძლიერი სახელმწიფო პატარა სახელმწიფოს ეკავშირება?

ამის თქმას ვერავინ ჰბედავს. ხოლო ცხოვრებაში კი ეს ეგრე ყოფილა. ჩვენ, ქართველებსაც, როგორც მრავალ სხვა პატარა ერს, სწორედ ეს ბედი გადაგვხვდა. მეფე გიორგი XII-ს სიკვდილის შემდეგ, რუსეთის მეფე პავლე I-მა, ქართველ მეფეთა და ხალხის სურვილის წინააღმდეგ, გააუქმა ერეკლე II-ს ტრაქტატი და საქართველო მხედრობის ძალით დაიპყრო და რუსეთის გუბერნიად გადააკეთა.

ხელშეკრულობა რაღას გვპირდებოდა? ტრაქტატის ძალით რუსეთის მეფეებს საქართველოს ტერიტორია და ქართველ მეფეების ტახტი უნდა დაეცვათ. «დიდებულება მისი (რუსეთის ხელმწიფე) აძლევს იმპერატორებსა თავსმდებობასა, — ვკითხულობთ მეორე მუხლში, — თვისსა მართლად დაცვისა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულესობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვიჩისათა». შინაურ საქმეების მართვაში საქართველოს მეფე სრულიად დამოუკიდებელი რჩებოდა. «მეორედ, უგანათლებულესსა მეფესა ირაკლის თეიმურაზოვიჩისა—გვეუბნება მეექვსე მუხლი.—და სახლისა მისისა მემკვიდრეთა და მენაზულეთა და ტომთა დაიცვას უცვალებლად სამეფოსა ზედა ქართლისა და კახეთისათა, მესამედ, შინაგანსა ხელმწიფებისა მართებლობისა თანა შეუპოვლისა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემლისა ხარკისასა *დაანებებს მისსა უგანათლებულესობასა მეფისასრულსა შინა ნებასა და სარგებლობასა მისსაო*». ამრიგად, სასამართლო, ადმინისტრაცია, სკოლა და ფინანსები—ყველა ეს ქართველების ხელში რჩებოდა. რუსეთის მეფეს საქართველოში რეზიდენტი ანუ თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდა, რომელსაც ჩვენის ქვეყნის საქმეებში ჩარევის უფლება არ ქონდა.

ნაცვლად ყველა ამისა, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს ხასიათი ერთმევოდა. ქართველმა მეფემ რუსთა მეფის უზენაესი ხელმწიფობა აღიარა. ამ მუხლის ძალით მეფეს გარეშე პოლიტიკის უფლება ეკარგებოდა. რუსეთის დაუკითხავად ვერც ომს გამოუცხადებდა ვისმეს, ვერც ზავით შეეკვროდა. და ამასთანავე, იმავე ტრაქტატის ძალით, მეფე თავის

ჯარით უნდა დახმარებოდა რუსეთს, როცა კი საჭიროება მოითხოვდა.

ამნაირია უმთავრესი დედა-აზრი 1783 წ. ტრაქტატისა. თანამედროვე იურიდიულ მეცნიერების თვალით რომ დავაფასოთ იგი, ეს ტრაქტატი საქართველოს რუსეთთან უნიის პრინციპით აერთებდა. «მეფე ქართლისა და კახეთის აღიარებს უზენაესსა ხელმწიფესა და მფარველობასა ყოვლისა რუსეთისა იმპერატორთასაო» (არტ. III). ასე რომ, ქართველებს და რუსებს ერთი დინასტია აკავშირებდა. რუსის იმპერატორი, ქართველთა მეფედ იყო აღიარებული. რაიცა შეეხება ქართულ დინასტიას, ქართველთა მეფეთ, ისინი, ტრაქტატის განმარტებით, იმპერატორთა წარმომადგენელებათ უნდა ყოფილიყვნენ. მათ ამტკიცებდა და ინვესტიტურას აძლევდა იმპერატორი. ისინი საქართველოს შინაურ საქმეების დამოუკიდებლობის გამომსახველნი უნდა ყოფილიყვნენ. «მეფეები ითხოვდნენ დესპათა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისსა იმპერატორებსა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილითა» (არტ. III) რაიც შეეხება სახელმწიფოს შინაურ მმართველობას, როგორც ზემოდ ვსთქვით, საქართველო რუსეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად რჩებოდა. შინაურ მმართველობის საქმეში, მხოლოდ ერთი რამ ჰქონდა შეზღუდული: საქართველოს და რუსეთს შუა თავისუფალი ვაჭრობა უნდა დამყარებულიყო. ქართველ ვაჭრების და ქართულ საქონელს თავისუფალი გზა ჰქონდათ რუსეთში «ნაცვლად მისსა, აღსთქვამს მეფეიცა... ყოვლითა ძალით აღსუბუქებათ ვაჭრობისა რუსთასაო (არტ. XI). საქართველოს საზღვრები რუსეთის ვაჭრებისათვის და რუსულ საქონლისათვის ღია უნდა ყოფილიყო.

ვიმეორებთ, ერეკლეს ტრაქტატში ჩვენ ტიპიურ უნიურ პრინციპსა ვხედავთ. ორი სახელმწიფო, უფლებაში გათანასწორებული, უზენაესის იმპერატორის ავტორიტეტით არის გაერთიანებული. შინაურულად ორივე სახელმწიფოს მოქმედების და მართვის თავისუფლება აქვს მინიჭებული.

მაშასადამე, ხელში კანონიერი, ორივ მხრივ შემოწმებული ხელშეკრულება გვაქვს. სხვა რაიმე ტრაქტატი, ორ დაინტერესებულ სახელმწიფოსაგან დადებული, არ არსებობს.

როგორც ზემოთ ვსთქვით, ყოველი ცვლილება, ამ ტრაქტატის შემდეგ მომხდარი ორ სახელმწიფოთა შორის, იყო წინააღმდეგ ქართველ მეფეთა თანხმობისა და ქართველ ხალხის სურვილისა *).

ამნაირად, წარსულმა ცხოვრებამ გვიანდერძა ისტორიულ შელახულ უფლებათა აღდგენის მოვალეობა. ზნეობრივი და კანონიერი უფლება გვაქვს პასუხი მოვსთხოვოდ რუსეთის მთავრობას. თუ საერთაშორისო სამართალს რაიმე ძალა და ფასი აქვს, ამ სამართალმა უნდა განგვსაჯოს და წართმეული დაგვიბრუნოს. ამნაირია პოლიტიკური ნიადაგი, რომელზედაც ჩვენა ვდგევართ და რომელიც ჩვენს მისწრაფებას ისტორიულ და კანონიერ ხასიათს აძლევს.

მაგრამ იტყვიან, ბევრიც რომ ილაპარაკოთ შელახულ უფლებებზე, თავს ვის შეაბრალებთ, ვინ გაგიგონებთ, დახმარებას ვინ აღმოგიჩენთო? რა ძალა გაქვთ, გვეტყვიან, რომ ედავებით რუსეთის მთავრობასაო?

დიაღ, ჩვენ ძალა გვაქვს. ამ ძალას, როგორც წინა წერილებშიაც გვქონდა განმარტებული, წარმოგვიდგენს ორი რამ. პირველი ჩვენი იმედი თვით ქართველ ხალხის პოლიტიკურ თვით-ცნობიერების გაღვიძებაზეა დამყარებული. მეორე იმედი რუსეთის სულის შემხუთველ რეჟიმის, თვით-მპყრობელობის დამხობაზეა დაფუძნებული. ერთის მხრივ, ვიმეორებთ, ჩვენს ძალას შეადგენს ჩვენი ხალხის მომწიფება თვით-მოქმედებისათვის. მეორეს მხრივ, ჩვენი ძალა ის არის, რომ რუსეთის განვითარება დეცენტრალიზაციისაკენ არის მიმართული. რუსეთის დეცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს ჩვენს ეროვნულ თვით-მოქმედების აღორძინებას, ჩვენი ძალა მეფე ერეკლეს ანდერძშია, სადაც ვპოვებთ იმას, რაც დღეს აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის—ე. ი. შინაურ საქმეების მართვაში სრული თავისუფლება. ძალა ჩვენი აგრეთვე ის არის, რომ ჩვენთვის დღეს არ არის საჭირო ხელშეკრულობის ყველა 12 მუხლის აღსრულება. 1783 წლის ტრაქტატიდამ ჩვენ ვიღებთ დედა-აზრს. ტრაქტატი გვაძლევდა *ეროვნულ ავტონომიას*,—რუსეთისაგან დამოკიდებულს გარეშე პოლიტიკის კითხვებში, ხოლო შინაურ საქმეეში სრულიად დამოუკიდებელს. ეს აზრი უდევს მეფე ერეკლეს ტრაქტატს. იგივე აზრი აქვს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ჩვენს თანამედროვე პოლიტიკურ მისწრაფებასაც. მაშასადამე, ჩვენს ისტორიულ დავას აწინდელ პირობებში მკვიდრი ნიადაგი უძევს. დღეს ჩვენ, თანამედროვე დროის მოთხოვნილებათა მიხედვით, ამ ძველ პოლიტიკურ ფორმას, ტრაქტატში გამოსახულ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობას, ახალს შინაარსს ვაძლევთ, ახალ პრინციპზედ ვამკვიდრებთ—ხალხის წარმომადგენლობის პრინციპზედ, რომელმაც საქართველოს მეფეთა გვარეულობის მაგიერობა უნდა გაგვიწიოს. წარსულში რუსეთმა დაარღვია თავისი პირობა, რუსეთის იმპერატორებმა გააუქმეს ის, რაც უნდა დაეცვათ. მაშასადამე, ჩვენი პატივცემულ ლონდონელ თანამემამულეს სიტყვებისა არ იყოს *), ქართველები ზნეობრივად განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარ მოვალეობისაგან რუსეთის იმპერატორების წინაშე. მა-

---

*) ამის შესახებ ყოველგვარ ოფიციალურ დოკუმენტებს გამოვაქვეყნებთ.

*) იხ. «La Géorgie» № 2.

მასადამე, ჩვენ პირნათლად გამოვდივართ, როგორც ისტორიის სამსჯავროს, ისე ჩვენი სინიდისის წინაშე. ამნაირია კავშირი წარსულისა აწმყო ცხოვრებასთან. წარსულმა უსამართლობამ დღეს ამოჰყო და იჩინა თავი. ამიტომაც არის, დღევანდელ უსამართლობის მოსპობისათვის საჭიროა ხელი ვწვდეთ იმ წყაროს, საიდანაც ეგ უსამართლობა მომდინარეობს. ქართველი ხალხის თანამედროვე საჭიროებათა დაკმაყოფილება ისტორიულ უფლებათა აღდენას უდრის. ხოლო წართმეულ უფლებათა დაბრუნება ჩვენი ცხოვრების უკუღმართობის შესწორების თავდებად გახდება.

## ქართულ ცხოვრების მატიანე.

(ჩვენის კორესპონდენტებისგან)

სოფლის მასწავლებელი ჯამუშის როლში.—სოფელ გულეიკარის სკოლის მასწავლებელი ვ. დ—ია *) გლეხებს უქადაგებს, წირვა-ლოცვა ეკლესიაში სლავიანური უნდა იყოსო. მთავრობის სურვილია რუსული ენის გავრცელება ხალხში და ამ სურვილს ხელი უნდა შევუწყოთო. ამგვარი აზრები არა ერთხელ წამოუთქვამს ჩვენი მღვდლის წინაშეც. მაგრამ მღვდელი, რასაკვირველია, არ ეთანხმებოდა მასწავლებელს, რადგანაც მისის აზრით ეკლესიაში ის ენა უნდა იყოს ხმარებაში, რომელიც ხალხისთვის გასაგებია. ამგვარ ქადაგებით მასწავლებელმა ხალხი გადაიკიდა, რადგან ჩვენს სოფლის საზოგადოებას უკვე კარგად აქვს შეგნებული მთავრობის განზრახვა სამეგრელოს განშორებისა დანარჩენ საქართველოსაგან. ამ ბოლო დროს გაზეთებმაც ამბავი მოგვიტანეს, ვითომც მთავრობას ჰსურდეს სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ეპარქიები ჩამოაშოროს საქართველოს ეკლესიას და კერძო ეპარქია შეადგინოს. ამას გარდა აქ დიდი ხანია შეგნებული აქვთ ისიც, რომ მთავრობას არ სურს ქართულ ენის გავრცელება (თითქო გავრცელებული არ იყოს) სამეგრელოსა და სვანეთში. და აი ამისთანა დროში გამოდის ჩვენივე მოძმე, სოფლის მასწავლებელი და ხალხს უქადაგებს უნდა გარუსდეთო. ხალხს შესძულდა ეს მასწავლებელი. და ერთ ჯვარის-წერის დროს, თვით საყდარშივე, რაღაც შარი მოუდეს და სცემეს თავხედ პროვოკატორს. ნაცემმა მასწავლებელმა ყოველივე ეს აქაურ მღვდელს დააბრალა და მის წინააღმდეგ დაბეზღების წერილი გაუგზავნა „ჩერნ. ვესტნიკს". მე ქართველებს რუსულ კულტურას ვუნერგავო, ამბობს ნაცემი მასწავლებელი, ამის გამო, მღვდელმა შემიძულა და კინაღამ ჩემი თავი ველურ ხალხს არ მოაკვლევინაო. აი რა კარგი, რა ერთგული მონა ვარ მთავრობისაო, აი რა საძაგელი და თავხედია ქართველი ხალხი, რომელმაც მე, რუსულ კულტურის წარმომადგენელი, კინაღამ საიქიოს არ გამისტუმრაო. ამ ნაირი შინაარსიის წერილი გაუგზავნა თავს ლაფ-დასხმულმა მასწავლებელმა ბატონ პალმს, რომელიც გაოცებული ეკითხება თავის მკითხველებს: «Что же это, въ самомъ дѣлѣ такое»? „როდემდის უნდა ვითმინოთ ყოველივე ეს"?—ჩვენ და როდემდის უნდა ვზაროთ კისერი, როდემდის უნდა თარეშობდნენ ჩვენნი შემარცხვენელნი, ჩვენის მხრივ დავეკითხებით "საქართვ." მკითხველებს.

*) სამწუხაროდ ჩვენი კორესპონდენტი ამ მასწავლებლის სრულს გვარს არა გვწერს. რედ.

* * *

ჩვენებური სკოლის საქმე.—სწავლა-განათლების კითხვამ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში სამართლიანი ყურადღება მიიქცია. ხოლო როგორც ამ საგნის გარჩევა, ისე სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილების გათვალისწინება ყალბ ნიადაგზეა დაყენებული. ჯერ ერთი, ჩვენს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებს ცრუ იმედები აქსვთ მთავრობისა. „ჩვენ შეგვიძლიან, ამბობენ ისინი, უმაღლეს მთავრობის ნებართვით, ხმა მაღლა ვილაპარაკოთ და აღვნიშნოთ ყოველი ჩვენი ტკივილიო". ამ სიტყვებში ან ფლიდობა, ან თავის მოტყუება გამოიყურება. მართალი არ არის, ვითომ ახლად დაარსებულ კომიტეტებში თავისუფალ ლაპარაკის უფლება ჰქონდესთ მინიჭებული. რუსეთის ზოგიერთ კომიტეტის მაგალითი სწორედ იმას გვიმტკიცებს, რომ მთავრობა არ იწყნარებს თავისუფალ მსჯელობას და სჯის კიდევაც კომიტეტის იმ გამბედავ წევრს, რომელიც მართლის თქმას გაბედავს. ის თუ როგორ და რაგვარად არის წამოყენებული სკოლის კითხვა ჩვენს საზოგაოებაში ამკარად იმავე აზრს გვიმტკიცებს, რომ რუსეთში ამ ჟამად „თავის ტკივილებზე" ხმას ვერავინ აამაღლებს. დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

სამეურნეო საზოგადოება ორ აზრს დაადგა. ერთი რომ ჩვენში სკოლების რიცხვი ძლიერ მცირეა. მეორე, რომ ამ სკოლებში სწავლა დედა-ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ეს ორი ელემენტალური აზრი აღმოაჩინა კომიტეტმა. ხოლო რა საშუალებით უნდა ეშველოს სკოლის საქმეს, რა ღონე უნდა ვიღონოთ, რომ გავამრავლოთ სკოლების რიცხვი და სწავლაც დედაენის საფუძველზე დავამყაროთ, ამაზედ ჩვენი საზოგადოება არას გვეუბნება. ან კიდევ ამის შესახებ იმას გვირჩევს, რაც არავითარ სარგებლობას არ მოგვცემს და საქმეს წინ არ წასწევს. გვირჩევს, ვსთხოვოთ უმაღლეს მთავრობას სკოლები გაგვიმრავლოს და ამ სკოლებში დედა-ენის ხმარების უფლებაც მოგვანიჭოს. ეს არის და ეს. სხვა საშუალება არ დაუსახელებია ჩვენს საზოგადოებას, სხვა გზა ვერ მოუპოვებია „ხმა მაღლა" სიმართლის მთქმელს საზოგადოებას.

საგანი კი უფრო რთული და მძიმეა, ვიდრე პირველ შეხედვითა სჩანს. ჩვენი სკოლების რიცხვი რომ მცირეა, ეს ყველასთვის ამკარაა. რომ ცუდ ნიადაგზეა იგი დაყენებული, არც ეს არის საიდუმლო. საქმე ის არის, უნდა ვიცოდეთ, საიდამ წარმოსდგება ეს გარემოება? რატომ არის ჩვენში სკოლების რიცხვი ასე მცირე? რა საშუალებით შეიძლება მათი გამრავლება? სკოლა რატომ არის ჩვენში გარუსების და არა განათლების იარაღად? არც ერთი ამგვარი კითხვა არ იყო აღძრული სასოფლო-სამეურნეო კრებაზედ. და რომ აღძრული ყოფილიყო ამგვარი კთხვები, მაშინ დაინახავდნენ კომიტეტის წევრნი, როგორც შეუძლიანთ მათ „თავიანთ ტკივილებზე ხმა მაღლა ლაპარაკი". ამ საგნის გამორკვევა კი ფრიად საჭიროა.

მთავრობა ხდის სკოლას პოლიტიკის და არა განათლების იარაღად, შემოაქვს რუსული ენა ფინლანდურ, პოლონურ, ქართულ და სომხურ სკოლებში იმიტომ, რომ, მთავრობის აზრით, პეტერბურგსა, ვარშავასა, ჰელსინგფორსა, ტფილისსა და ეჩმიაძინში ერთი ხალხი უნდა სცხოვრობდეს და ეს ხალხი რუსები უნდა იყვნენ, იმიტომ, რომ ცენტრალურ თვით-მპყრობელობის მმართველობისათვის საჭიროა მოისპოს ადგილობრივი სხვა-და-სხვაობა, რათა ერთფეროვან უზარმაზარ ფარას უფრო ადვილად მოუაროს თავის თავის სადიდებლად და სასარგებლოდ.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს კარგად მოეხსენება, რომ კავკასიელი ხალხი რუსულს არ ლაპარაკობს

და რომ რუსულ სკოლების გამრავლება ჩვენში განათლების გავრცელებას არ მოასწავებს. მიუხედავად ამისა, ეს ვაჟბატონი თავის ანგარიშში აცხადებს: „რამდენად მიღწეულ იქმნა მიზანი რუსული ენის სახალხო სკოლებში შემოღებისა, ეს იქიდამ სჩანს, რომ ჯერ კიდევ 1879 და 1880 წწ. იმ სკოლების რიცხვმა, სადაც რუსული ენით სწარმოებდა სწავლა, მიაღწია ყველა სასწავლებელთა რიცხვის ნახევრამდე, ხოლო მარტო ადგილობრივ ენაზე სწავლა სწარმოებდა სკოლების საერთო რიცხვის 1/6-ში. ამ ჟამად პირველი რიგის სკოლები შეადგენენ 8/9, ხოლო უკანასკნელნი აღარც კი არსებობენო". მაშასადამე, მთავრობის განზრახვა აშკარაა. ქართული, სომხური და თათრული სკოლები — რუსულ სკოლებად უნდა იყვნენო. როგორცა ვსთქვით ცენტრალისტურ მთავრობისათვის ეს ისევე საჭირო, როგორც საჭიროა მისთვის ძლიერი ჯარის ყოლა, ან კიდევ როგორც საჭიროა პატარა ერთა ვინაობის, აღმოფხვრა. მთავრობას კარგად ესმის, რომ რუსეთის მთელი აწინდელი რეჟიმი შეირყევა, მისი განაპირა ნაწილები რომ აღორძინდნენ, აჴყვავდნენ. მთავრობას შეგნებული აქვს, რომ ამ აღორძინებას რუსეთის დეცენტრალიზაცია მოჰყვება და დეცენტრალიზაციას თვითმპყრობელობაც თან გაჰყვება. ყველა ეს ესმის მთავრობას, ამიტომაც არის რომ განაპირა ქვეყნების აღორძინებაზედ კი არა, არამედ მათს დაქვეითებაზედ ზრუნავს. ნუ თუ ეს აქამდის ვერ შევიგნეთ და ისევ იმავ მთავრობის იმედი გვაქვს, რომელიც ჩვენს გათახსირებას ცდილობს?

ავიღოთ კიდევ მეორე საგანი—სკოლების რიცხვის სიმცირე ჩვენში. სწავლა-განათლებაზე კავკასიაში 9.491.000 სულზედ იხარჯება 6.441,5209 მანეთი და კავკასიის მკვიდრთაგან სკოლებში მარტო 134,703 მოსწავლე დადის (1901 წ. ანგარიშით). ასე რომ წერა კითხვის მცოდნე მთელ კავკასიის მცხოვრებთა 1,4% შეადგენს. დღეს სკოლას გარედ რჩება 700,000 ახაალგაზდა. ამ ყმაწვილების აღსაზრდელად იმ ფულს (6,441,529) რომელიც დღეს სკოლებზე იხარჯება, უნდა კიდევ მიემატოს 10.800,000 მანეთი. განა ყოველივე ეს მთავრობამ არ იცის? ამის თქმა კი არ იყო საჭირო მთავრობისათვის, არამედ საჭირო იყო მთელი საფინანსო სისტემის გათვალისწინება, საჭირო იყო სახელმწიფო კითხვის აღძრა—ფულის რაციონალურ ხარჯვის შესახებ. ხოლო ამაზე ხმა არავის არ ამოუღია და დაუსჯელი ვერც დარჩებოდა, ვინც გაბედავდა კრინტის დაძვრას. საქმის ვითარება კი სწორედ აქ, ამ გარემოებაში იმალება. მთავრობა განათლებაზე ხარჯავს ჩვენში 3% კავკასიის ბიუჯეტისას, ხოლო ჯარის და ადმინისტრაციის შესანახად 67,5%. რატომ არის ეს? იმიტომ რომ მონარქიის დაცვისათვის საჭიროა ძლიერი ჯარი იყოლიოს, ხოლო ხალხი სიბნელეში ამყოფოს. აქ არის საკნის დედა-ძარღვი. ვისაც მართლა განათლების გაუმჯობესობა ჰსურს ჩვენში, მთელი აწინდელი მმართველობის სისტემა უნდა შესცვალოს. სანამ ეს არ მოხდება, ჩვენს ხალხს არა ეშველება-რა.

* * *

თვით-მპყრობელობის წინააღმდეგ. 27 აპრილს ტფილისის ქუჩებზე მუშებმა ხელახლად მოახდინეს დემონსტრაცია. დემონსტრანტებმა ჩვეულებრივად ააფრიალეს წითელი დროშა და დაურიდებლად იძახოდნენ: „ძირს თვითმპყრობელობა"! ყაზახ-რუსებმა, მეეზოვეებმა და პოლიციელებმა გაჰფანტეს მშვიდობიანი ხალხი და 100 კაცამდე დააპატიმრეს. 33 კაცს გუბერნატორმა სხვა-და-სხვა სასჯელი მიუსაჯა (ტფილისის გაზეთებში გამოცხადებულია, აქ აღარ გავიმეორებთ). საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ დემონსტრაციაშიაც, როგორც წარსულ დემონსტრაციებში, განსაკუთრებით ქართველთა ტომის ხალხი იღებდა მონაწილეობას. 33 დასჯილ დემონსტრანტებში 25 ქართველი გამოდგა (მათში ორი ქალი). ეს გარემოება და სხვა ამგვარი ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ქართველ მუშათა წრეებში სიცოცხლე სდუღს და რომ კავკასიაში ქართველი მუშა შეადგენს მოწინავე მებრძოლ რაზმს. მუდმივი დემონსტრაციები, რომელთაც პოლიტიკური ხასიათი აქვსთ, იმასაც გვიმტკიცებენ, რომ დღემდე მარტო მუშა ხალხი გამოდის საჯაროდ, საბრძოლველად და რომ იგი მზადაა შესწიროს თავი თავისუფლებისათვის ბრძოლას. ვაშა, გამბედავ მებრძოლთ!

## კიშინევში მომხდარ ბარბაროსობის გამო.

კიშინევში მომხდარ საზარელ ამბების აღწერას არ მოვყვებით. ლეგალურ გაზეთებშიაც ბევრი დაიწერა ამ შესაზარ ბარბაროსობის შესახებ. ებრაელთა აკლებამ მთელი კაცობრიობა შეაძრწუნა. აქ გვინდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რამ დაჰბადა ეგ სამწუხარო აკლება და ვინ არის ამ საქმეში ნამდვილი დამნაშავე.

საკვირველია, ხალხი ორის დღის განმავლობაში მძვინვარებდა, ანგრევდა და ხოცდა ებრაელებს და ამ დროს განმავლობაში ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, გუბერნატორმა, არავითარი ზომა არ მიიღო არეულობის მოსასპობად. კიშინევში 15,000 ჯარის კაცია, ურიცხვი პოლიციელთა რაზმი. მიუხედავად ამისა, არავითარი ღონისძიება არ მიიღიათ გამხეცებულ ბრბოს ასალაგმავად. რუსეთის ადმინისტრაცია, რომელიც არა ჩვეულებრივ სიმხნევეს და სისწრაფეს იჩენს ხოლმე ეგრედ წოდებული «წესიერების დასაცავად», აქ ყური მიიყრუა და არამცთუ ხელი არ გაანძრია ებრაელების დასაცავად, პირიქით, ახელებდა გაცოფებულ ბრბოს. ბოქაულები და პოლიციელები აქეზებდნენ თურმე ხალხს: «დაჰკათ ურიებსაო». სახლებს და მაღაზიებს ანგრევდნენ ადმინისტრაციის და ჯარის თვალწინ. მათივე თვალწინ აუპატიურებდნენ ქალებს და როცა გუბერნატორ ფონრააბენს ემუდარებოდნენ და დახმარებას და მფარველობას სთხოვდნენ, ეს ვაჟბატონი პასუხადეუბნებოდა, რომ პეტერბურგიდამ არავითარი ბრძანება არ მომსვლიაო.

ჩვენი მკითხველი უეჭველია თავის თავს დაეკითხება, რა მიზეზი უძევს საფუძვლად ამ სამწუხარო და შესაზარ ამბებს? ვინ არის პასუხის მგებელი ამ საქმეში? ვინ არის ნამდვილი დამნაშავე ებრაელთა ამოჟლეტის საქმეში?

ამ კითხვებს რომ ჩავუფიქრდეთ, აშკარად მივხვდებით, რომ ამ საზარელ საქმეებში დამნაშავე ის არის, ვინც ასწავლის ხალხს სიძულვილს და ვინც აქრობს ხალხში ყოველ აზრს და გონების გამოფხიზლებას. ებრაელთა მიმართ სიძულვილს ხალხს მღვდლები უქადაგებენ, ხოლო მისს გონებას მთავრობა აქარწყლებს. სამღვდელოება და მთავრო-

ბა—აი ნამდვილი დამნაშავე, აი ის ავაზაკები, რომელნიც ხალხში შფოთსა სთესენ თავიანთი ძალის გასამტკიცებლად.

რუსეთის მართ-მადიდებელი სამღვდელოება, რომელიც ყოველთვის ყურ-მოჭრილ ყმად იყო რუსეთის თვით-მპყრობელობისა, ხალხს ზნეობრივად ძველის დროიდამ რყვნის, გულში სხვა სარწმუნოებისადმი და სხვა ხალხისადმი ზიზღს და სიძულვილს უღვიძებს. რა ნაყოფი უნდა მოიტანოს იმგვარმა სარწმუნოებამ, რომელიც საჯაროდ წაწყმედას უქადის ყველას, ვინც კი მართმადიდებელ დოგმატებს არ ეთანხმება, რომელსაც სძაგს სხვა მორწმუნე ხალხი, განსაკუთრებით, ებრაელები, რომელიც ცრუ-მორწმუნოებისა და სიბოროტის მეტს არას ავრცელებს ხალხში? დიაღ, უპირველეს ყოვლისა, სამღვდელოებაა დამნაშავე ხალხის გამხეცებისა, ის სამღვდელოება, რომელიც ვითომდა «სათნოების» და «სიყვარულის» მიმდევარია და რომელიც ნამდვილად კი ყოველგვარ ძალ-მომრეობას და უსამართლობას ღვთიურ სანქციას აძლევს და ამ საშუალებით იმონავებს სიბნელით მოცულს ხალხის გონებას.

მეორე დამნაშავე მთავრობაა, თვით-მპყრობელი რუსეთის მონარქია, აწინდელი პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ხალხს სიბნელეში და სიღატაკეში ატარებს, მის გულში პიროვნებისადმი პატივისცემას აქრობს და განზრახ მხეცურ ინსტიქტებს უღვიძებს. ამ ბოლო ხანებში ხალხმა თითქოს გაიგო რა მტერია მისი მმართველობა. და ამ აზრის შეთვისება-შეგნებასთან ერთად ხალხი შეებრძოლა კიდევაც თავის მტერს. ხალხის გამოფხიზლება მთავრობას ძლიერ აშინებს და აფიქრებს. მის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი უძლურია და უკმაყოფილება ხალხში დღითი-დღე იზრდება. და აი მთავრობამ თავის თავის დასაცავად გამოიყენა უკანასკნელი საშუალებაც. მან გამოიყენა მღვდლების მიერ ხალხში დანერგილი ცრუ-მორწმუნოებანი, სიძულვილი ებრაელებისადმი, და დამშეული და დამცირებული ხალხი ურიებს მიუსია, რათა ამ სახით ხალხის უკმაყოფილებისათვის გასავალი მიეცა და მის მსხვერპლად თვითონ არ გამხდარიყო. კიშინევში ეს საშუალება ჯერ-ჯერობით მთავრობას გამოადგა, მაგრამ ვაი იმ მთავრობის ბრალი, რომელიც თავის დღეგრძელობისათვის ამოდენა უდანაშაულო ხალხის სიცოცხლე იმსხვერპლა! ვაი იმ მმართველთა ბრალი, რომელნიც ხალხის სისხლით შეისვარნენ! მათი განკითხვის დღეც ახლოვდება და იმ დღეს ყველა ბოროტების და უსამართლობის ჩადენისათვის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ხალხი მათ პასუხს მოსთხოვს!

## ფინლანდელების მოწოდება,

უკვე ოთხი წელიწადია, რაც კონსტიტუცია, დამტკიცებული ალექსანდრე I-ის მიერ, ფინლანდიის დაპყრობის შემდეგ, დარღვეულია ეხლანდელ თვით-მპყრობელისაგან, თუმცა მან, როგორც ყველა მისმა წინაპრებმა, აღთქმა დასდვეს ამ კონსტიტუციის დაცვისა. კაცობრიობის განათლებულმა ნაწილმა უკვე გამოსახა სხვა-და-სხვა გვარად თავისი სიძულვილი და გაკიცხვა აღთქმის და პირობის დარღვევის გამო. მრავალი ფინლანდიელი, რომლებმაც საჯაროდ მიიღეს ფიცი თავიანთ კანონების დასაცავად, არ დამორჩილდა იმ უკანონო და ყოველ იურიდიულ წესიერების დამარღვეველ ზომებს, რომლებიც ფინლანდიის გენერალ-გუბერნატორმა, თავის დესპოტიურ ინსტინქტების დასაკმაყოფილებლად, გამოსტყუა ხელმწიფე იმპერატორს, ცრუ და სიამრთლეს მოკლებულ მოხსენების წარდგენით.

რუსის მთავრობამ, გაბრაზებულმა ამ გვარ წინააღმდეგობით, ეხლახან შემოიღო ფინლანდიაში ისეთი სულ-შემხუთავი რეჟიმი, რომლის წარმოდგენაც კი შეუძლებელია იმისთვის, ვნც ლეგალურ რეჟიმის ქვეშ სცხოვრობს. ხალხი, ჩვეული იმის ხილვას, რომ კანონიერ აზრს ყოელთვის სხვებზედ უპირველესი ადგილი უნდა სჭეროდა და დარწმუნებული, რომ მისი ნაციონალური თავისებურობა ვითარდებოდა ლიბერალურ კანონ-მდებლობის წყალობით, დღეს ყოველ წამს ხედავს სიმართლეს უდიერად შელახულს, დაბეზღებას და სიცრუეს უხვად დაჯილდოვებულს, ხედავს, რომ ბოროტ-გამზრახველნი, რომელთაც მთავრობა ჯამუშებად ხმარობს, სამსჯავროს სამართალს ხელიდამ გაუსხლტნენ.

მაგრამ ეს არ იყო სამყოფი სატრაპისათვის, რომლის თვით-ნებობას ხელმწიფემ აწ გადასცა ფინლანდელი ხალხი. ვითომდა მოსალოდნელ ამბოხების ასაცილებლად, გუბერნატორმა მიიღო უფლება კერძო პირების ფინლანდიიდან უსამართლოდ განდევნისა და გადასახლებისა რუსეთის შიდა იმპერიის განსაზღვრულ ადგილებში (მაგ. ციმბირში) და ამ ადგილებში გასტუმრებამდე, მათის დაპატიმრებისა ციხეებში იმ დრომდე, სანამ მისი, გუბერნატორის, ნება და სურვილია.

ამ «უფლების» ძალით გენერალ-გუბერნატორი უკანასკნელ დღეებში შეუდგა მცხოვრებთა განდევნას. ბევრს ფინლანდიის საუკეთესო მამულიშვილს ერგო წილად ძლიერ სასტიკი სასჯელი: განდევნა სამშობლოდამ და ძალდატანებული მძიმე მუშაობა (კატორგა), სასჯელნი, რომელნიც სრულიად გამორიცხულნი არიან, როგორც ფინლანდიისა ისე სხვა ხალხთა კანონმდებლობიდან. არც ერთმა განდევნილმა ჩვენმა თანამემამულემ არ იცოდა ბრალდების

შინაარსი, წამოყენებული მის წინააღმდეგ, მაგრამ უმეტეს ნაწილისათვის, ამ არგაგონილ სასჯელის მიზეზი, შემთხვევითი დაბეზღება და პირადი შურისძიება უნდა ყოფილიყო. პოლიციის მოხელენი თხზავდნენ განდევნის გექტოგრაფიულ განკარგულებას, სადაც სახელისათვის თეთრად დატოვებული ალაგი არც კი იყოყოველთვის შევსებული. გენერალ-გუბერნატორის აგენტები შეცვივდებოდნენ ხოლმე კერძო სახლებში და სამრეწველო დაწესებულებებში, ამტვრევდნენ წიგნთ-საცავების კარებებს, ცარცვავდნენ და გლეჯავდნენ ვანდალებივით, რაც მოხვდებოდათ ხელში, ამსხვრევდნენ ნივთებს კერძო პირებისას და მიჰქონდათ თან მათთვის გაუგებარი წიგნები. ადამიანი იფიქრებდა, თითქოს ფინლანდიის ცივილიზაციის ნაყოფის დათრგუნვა მოუნდომებიათო, თითქოს ამ ცივილიზაციის აღმოფხვრის სურვილი, გულში დიდხანს ჩამარხული, გარეგან ნიშანს ელოდებოდა, რათა სავსებით მისცემოდა დანგრევის და აღმოფხვრის ვნებას.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვიმედოვნებთ, რომ ამ ძალ-მომრეობას ხელს შეუშლის ევროპიულ პრესის გაკიცხვა. უკანასკნელ დროის მაგალითმა სავსებით დაგვანახვა, თუ რა მცირედი ადგილი უჭირავსთ ჰუმანიურ მოსაზრებათ საპოლიტიკო სფერაში.

ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გაგვეგონებინა იმათთვის, ვინც უკვე გამოგვიცხადა თავისი თანაგრძნობა ველური და უდიერი პოლიტიკა რუსულ რეჟიმისა, რომელიც ცდილობს სრულიად მოსპოს ჩვენი ნაციონალური არსებობა. ჩვენ გვინდა მარტო იმ ქვეყნის ცივილიზაციის წარმომადგენელებისათვის მიგვემართნა, სადაც ჩვენ გვიცნობენ და ამ ცივილიზაციის სახელით პროტესტი გამოგვეცხადებინა იმათ წინააღმდეგ, ვისაც მოუნდომებია დასავლეთ ევროპის ცივილიზაციის ერთ-ერთ კერის დანგრევა, გვინდოდა პროტესტი გამოგვეცხადებინა იმის გამო, რომ უმიზეზოდ, მშვიდობიან დროს, ომი გამოუცხადეს იმ საზოგადოებას, რომელიც ვითარდებოდა საუკუნოებით თავის კანონებისა და სიმართლის მფარველობის წყალობით და რომლის წევრნი, დანაშაულობის დაუმტკიცებლად, ძალით მოგლეჯილნი არიან თავიანთ ცხოვრების სახსარს, სამუშაოს და თავიანთ სამშობლოს.

**ყველა კლასის ფინლანდელები.**

## თანამედროვე პოლონეთის პოლიტიკური პარტიები.

საქართველოს აწინდელი მდგომარეობა ძლიერ მიაგავს პოლონეთისას. ორივე ერს რუსეთის რეჟიმი ეროვნულად და ეკონომიურად სჩაგრავს და სტანჯავს. ორსავე ერის ცხოვრებაში ერთნაირმა გარეშე პოლიტიკურმა ძალამ ერთგვარი ნაყოფი გამოიღო. მხოლოდ ეს ნაყოფი პოლონეთში, როგორც დაწინაურებულ და განვითარებულ ქვეყანაში, უფრო თვალსაჩინო გახდა ვიდრე საქართველოში. გაცნობა პოლონეთის ცხოვრებისა, დაახლოვება პოლონელებთან და სხვა დაჩაგრულ ერთა წარმომადგენელებთან, ფრიად სასარგებლოა ქართველებისათვის. ამ ერთა პოლიტიკური გამოცდილება და იმედები ქართველ ხალხს სახელმძღვანელოდ გამოადგება. ამიტომ ჩვენ გვსურს პოლონეთის და სხვა დაჩაგრულ ერთა შესახებ მოვაწოდოთ ხოლმე ცნობები „საქართველოს” მკითხველებს. რუსეთის კონსტიტუციონალისტთა გაზეთ „განთავისუფლება”-ში (№ 20/21) თანამედროვე პოლონეთის შესახებ საინტერესო წერილების ბეჭდვა დაიწყეს. მოგვყავს ამ წერილების შინაარსი.

—

1863 წ. აჯანყების შემდეგ, პოლონეთის თავად-აზნაურობა ძლიერ დაეცა. ამ დაცემის მიზეზი ორი იყო. აჯანყების დროს დიდ ძალი ხალხი დაიღუპა, რადგან აჯანყებაში განსაკუთრებით თავად-აზნაურთა (შლიახტა) წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას. ვინც გადარჩა ბრძოლის ველზე სიკვდილს, ციმბირს ვეღარ გაექცა. ბევრიც საზღვარგარედ გაიხიზნა. ამასთან თავად-აზნაურობა ქონებრივადაც შეირყა. რუსეთის მთავრობამ შლიახტის დასუსტების განზრახვით გლეხები შეღავათიანის პირობით გაანთავისუფლა ბატონ-ყმობისაგან და ამით მთავრობამ პირველ ხანში პოლონელ გლეხების გული მოიგო. 1863 წლის აჯანყებას, რომელსაც თავად-აზნაურულ-ნაციონალური ხასიათი ჰქონდა, მოჰყვა ხანგრძლივი სიჩუმე და რეაქცია. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროშას ხელში არავინ იღებდა. ხალხი შრომას და ფიქრს მიეცა და 10—15 წლის განმავლობაში პოლონეთის ცხოვრებაში ახალმა მოვლენამ იჩინა თავი, ახალი ძალა გამოქვეყნდა.

პოლონეთი 1863 წლამდე მიწათ-მოქმედი ქვეყანა იყო. ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ, პოლონეთში მრეწველობა ჩნდება. ვარშავა, ლოძი, ჩენსტოხოვი და დომბროვო ამ მრეწველობის ცენტრებად გახდნენ. ხალხი სოფლებიდამ სამრეწველო ქალაქებს მიაწყდა. თავად-აზნაურობის ერთმა ელემენტმა ამ ახალ საქმეს მოჰკიდა ხელი. ქალაქებში დაიბადა ბურჟუაზული ინტელიგენცია. ეს ინტელიგენცია ლიბერალურ მიმართულებისა იყო და ამიტომ მალე შეებრძოლა კონსერვატულ თავად-აზნაურობის წარმომადგენლებს, რომელთაც გულში პოლონეთის სამეფოს აღდგენის იმედი მაინც უღვიოდათ. ლიბერალურ ბურჟუაზიას კი ერთი აზრი და ფიქრი ჰქონდა: იგი პოლონეთის აღორძინებას მრეწველობის განვითარებაში ხედავდა და ამიტომ სავაჭრო ბაზრების მოპოვების საქმეს ალევდა თავის ძალღონეს. მრეწველობის და კაპიტალის ზრდასთან ერთად, პოლონეთში დაიბადა აგრეთვე ახალი კლასი—მუშა ხალხი, პროლეტარიატი, რომელსაც თავისი მცველები და იდეოლოგები გაუჩნდნენ. ამნაირად დაიბადა მესამე ჯგუფი—სოციალისტები. სოციალისტებს პირველ ხანში გარკვეული პროგრამა არა ჰქონდათ. მათ ნაწერებში რევოლუციონურ ფრაზეოლოგიას დიდი ადგილი ეჭირა, ლაპარაკი იყო მუშათა დაჩაგვრის შესახებ, ხოლო ამ მოძრაობას განსაზღვრული მიზანი ჯერ არ ჰქონდა და იგი მაინც და მაინც რუსეთის წინააღმდეგ არ იყო მიმართული. ასე იყო საქმე 1870 წლამდე. ამ დროიდამ პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ხანა იწყობა და პარტიათა პროგრამებს ცხოვრების შესაფერი რეალური ხასიათი ეძლევა.

1870 წლამდე ეროვნულ მოძრაობას პოლონეთში, როგორც ვსთქვით, უფრო თავად-აზნაურული და ბურჟუაზიული ელფერი ედო და ეს იმითი იყო გამოწვეული, რომ პირველ ხანში მთავრობა სწვდა პოლონეთის თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. ხალხმა ჯერ არ იცოდა, რა არის გარუსების პოლიტიკა. ხალხურ სკოლაში, სოფლურ ადმინისტრაციასა და სასამართლოებში ჯერ კიდევ პოლონური ენა იყო ხმარებაში. მოხელენი და მოსამართლენიც პოლონელები იყვნენ. ამასთან გლეხები შედარებით კარგ პირობებში ჩავარდნენ. ამიტომაც ეროვნულ მოძრაობაში ხალხი სრულიად მონაწილეობას არ იღებდა. გარუსების პოლიტიკის მსხვერპლად ჯერ-ჯერობით ბურჟუაზია და თავად-აზნაურობა შეიქმნა. მთავრობამ ვარშავის პოლონური უნივერსიტეტი დაჰკეტა და ნაცვლად რუსული უნივერსიტეტი დაარსა. საშუალო სასწავლებლებიდამ და ადმინისტრაციის მაღალ ინსტანციებიდამ პოლონური ენა განდევნა. სასტიკი კანონები გამოსცა პოლონურ პრესის წინააღმდეგ. ხოლო 70 წლებიდამ პოლონური ენა განდევნილ იყო აგრეთვე ხალხურ სკოლებიდამ, სოფლურ სასამართლოდამ და დაბალ

ინსტანციის ადმინისტრაციიდამ. ამ დროიდამ ეროვნების დაცვის საჭიროება ხალხშიაც ვრცელდება და ეროვნულ საერთო მოძრაობას რუსეთის მთავრობის სასტიკი პოლიტიკა, მიმართული პოლონეთის ხალხისადმი, ხელს ძლიერ უწყობდა. რა საშუალებას ხმარობდა მთავრობა პოლონეთის წინააღმდეგ? 1) მთავრობა სცდილობდა გაეძლიერებინა პოლონეთში რუსული ელემენტი. პოლონელ ჯარის კაცებს შიდა რუსეთის გუბერნიებში გზავნიდა. პოლონეთში კი რუსებს ამსახურებდა და სამსახურის გათავების შემდეგ, ხელს უწყობდა პოლონეთში მათის დასასახლებლად. 2) სახელმწიფო სამსახურიდამ პოლონელები თან-და-თან განდევნილ იქვნენ, რკინის გზების სამსახურშიაც აღარ იღებენ პოლონელ მუშებს. ამ მუშებს ლუკმა პურს ართმევენ აგრეთვე იმით, რომ რუსეთიდამ რუსის მუშები განზრახ მოჰყავთ სახაზინო შენობების ასაშენებლად. კერძო კომპანიებს, როცა იგინი რკინის გზის ასაშენებლად კონცესიებს იღებენ, ავალებენ რუსის მუშები ამუშავეთო. 3) პოლონური ენა განდევნილია აგრეთვე კერძო საზოგადოებებიდამ. ბანკებსა, ქარხნებსა და სხვა ამგვარ დაწესებულებებში საანგარიშო წიგნები რუსულად უნდა იყოს დაწერილი. პოლონური ენა კლუბშიაც არის აღკრძალული. 4) სასამართლო და ადმინისტრაცია, განსაკუთრებით სოფლებში, ბევრ უსამართლობას ჰჩადის. მექრთამეობამ და ხალხის აწიოკებამ ძლიერი ფესვი გაიდგა პოლონეთში. მათ თარეშობას და უსამართლო მოქმედების გამომჟღავნება არავის შეუძლია, რადგან ამგვარი გამომჟღავნება მთავრობას თავის ღირსების დამცირებათ მიაჩნია. 5) ამასთან ერთად რუსეთის მთავრობა ღონისძიებას ხმარობს მართმადიდებლობის გავრცელებისათვის პოლონეთში. აშენებს დიდძალ საყდრებს და მემამულეთ აძალებს, საყდრების აშენებაში მასალით დაეხმარეთო. 1870 წელში რამდენიმე 100,000 უნიატს ძალად მიაღებინეს მართმადიდებლობა. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ზოგი დახოცეს, ზოგი გაწკეპლეს, ზოგიც ციმბირში დაჰკარგეს. ამრიგად რუსეთის სასტიკმა რეჟიმმა ხალხში უკმაყოფილება დაჰბადა. მუშებში კლასობრივი მოძრაობა ძლიერ გაიზარდა და მუშებს არა ერთხელ მოსდიოდათ შეტაკება მთავრობასთან. მუშა ხალხმა მთავრობა მიიჩნია თავის მტრად. 1894—1896 წწ. რაღაც ცვლილების მოლოდინში იყვნენ პოლონეთში. პოლონეთის მაღალ წრეებს იმედი ჰქონდათ, რუსის მთავრობა გარუსების პოლიტიკას შესცვლისო. მაგრამ ეს იმედები არ განხორციელდნენ და უკმაყოფილება პოლონეთის ყველა წრეებში გაღრმავდა.

ამრიგად ვხედავთ, რომ რუსეთის პოლიტიკამ გადაიმტერა პოლონეთის ყველა წოდება და ყველა კლასი. პოლონეთში არ არის არც ერთი ელემენტი, რომელზედაც მთავრობას შეეძლოს დაემყაროს. სოფლელი, მუშა, ბურჟუაზიის და თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი—ყველ დაჩაგრულია, დამონავებული, მოკლებული ადამიანის ბუნებრივ უფლებებს, ყველა ამხედრებულია რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. შემდეგ წერილში ვიტყვით, რა სახის პოლიტიკური პარტიები აღორძინდნენ ამ საერთო უკმაყოფილების ნიადაგზედ.

---

## რუსეთის ქრონიკა.

—მთავრობის ტყუილები. ამას წინად რუსეთის დეპეშათა სააგენტომ გაზეთებში შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა. კონსულ შჩერბინას მკვლელ ალბანელს ხონთქარმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯაო. მაგრამ კაცთ-მოყვარული გული იმპერატორ ნიკოლოზ II-სა წინ აღუდგა ამ გადაწყვეტილებას და ვითომ რუსეთის მთავრობამ სთხოვა ხონთქარს ეპატიებინა კონსულის მკვლელისათვისაო. ამ თხოვნის შემდეგ სიკვდილის ნაცვლად ალბანელს მხოლოდ ციხეში დაპატიმრება მიუსაჯესო. ყოველივე ეს ურცხვი ტყუილია. საქმე სულ სხვანაირად იყო, როგორც გამოამჟღავნა საზღვარ-გარედ გამოქვეყნებულ ცნობებით. ალბანელს ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა სათათრეთის სამსჯავრომ. ეს მცირე სასჯელი პირად შეურაცხყოფად მიუღია ზინოვიევს, სტამბოლის რუსეთის ელჩს. რუსეთის და სათათრეთის ურთიერთობა ამის გამო ძლიერ შეირყა. დანამდვილებით ამბობდნენ ზინოვიევი ამის გამო სტამბოლიდამ წასვლას აპირებდაო. ამ გარემოებათა მიხედვით, ხელმეორედ გაირჩა ალბანელის საქმე და ამ მეორე გარჩევის შემდეგ, რუსეთის მადლატანებით, ალბანელს სიკვდილი მიუსაჯეს. ხოლო რადგან ალბანელთ ეს ამბავი არ ეჭაშნიკათ და სულთანს მუქარა გამოუგზავნეს, საბრალო ხონთქარი შეემუდარა ნიკოლოზს, ნუ დამღუპავ, ნუ გადამიმტერებ ისედაც მოუსვენარი ალბანელები, ნ… გინდა შჩერბინას მკვლელის სიკვდილიო. ამ მუდარის შემდეგ ზინოვიევი და ნიკოლოზ მეორე დასჯერდნენ სამსჯავროს წინანდელ განაჩენს. აი ასე იყო საქმე. როგორც ხედავთ, მთავრობის შერყეული ღირსების დასაცავად ტყუილების გავრცელება ყოფილა საჭირო და ტყუილს და სიცრუეს ხომ მოკლე ფეხები აქვია!..

— რევოლუციონერ გოცის დაპატიმრება იტალიაში. 25 მარტს იტალიაში დააპატიმრეს მ. რ. გოცი. რუსეთის პოლიციამ ანარქისტად გამოიყვანა გოცი, ყალბი საბუთები მისცა იტალიის მთავრობას და ამ საბუთების ძალით კინაღამ ხელში არ ჩაიგდო რუსის რევოლუციონერი. გოცი კარგა ხანია მოსვენებას არ აძლევს რუსეთის მთავრობას. იგი ციმბირში ყოფნის დროს შესაზარ ამბების მოწამეა და ამ კაცის ყოფნა ამ ჟამად საზღვარ-გარედ სწორედ რომ უსიამოვნოა მთავრობისათვის. იაკუტსკის ოლქში ყოფნის დროს (1889 წ.) გოცს და მის ამხანაგებს შემდეგი უბედურობა გადახდათ. 30 „პოლიტიკური დამნაშავე" სრედნეკოლიმსკში უნდა გაესტუმრებინათ. მაგრამ ამ მგზავრობისათვის არაფერი არ იყო მომზადებული და აშკარაა გზაში ბევრნი დაიხოცებოდნენ (მათში ქალები და ბავშვებიც იყვნენ). ამის გამო „დამნაშავეთა" ჯგუფმა თხოვნა გაუგზავნა ვიცე-გუბერნატორ ოსტაშკინს და სთხოვდა, მოგვ ნუ გაგვგზავნიო. ეს თხოვნა გუბერნატორმა მათ ურჩობად ჩამოართვა და „მეამბოხეთა" დასაწყნარებლად სალდათთა რაზმი გაგზავნა. სალდათებმა, მისვლისთანავე, თოფის კონდახებით დაუწყეს გამგზავრებულთ. ზოგიერთმა თავის დასაცავად წინააღმდეგობა გაუწია. სალდათები გამხეცდნენ და 6 კაცი მოჰკლეს (მათში ერთი ახალგაზრდა ქალი) და 9 მძიმედ დასჭრეს; ვინც გადარჩა, სამხედრო „სამართალით" განსაჯეს. „სამართალმა" 3 კაცს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, 14-ს (მათში 4 ქალს) სამუდამო კატორღა, 5-ს—15 წლის კატორღა და 4 მცირეწლოვანს 10 წლით კატორღა გადაუწყვიტა. ამასთან ჟანდარმერიამ შემდეგი ბარბარობა ჩაიდინა. ერთი რევოლუციონერი კოგან-ბერნშტეინი, სალდათებთან შეტაკების დროს, ფეხში ტყვიით იყო დაჭრილი. ბერნშტეინი ლოგინში იწვა მძიმედ ავადმყოფი ჩამოხრჩობა რომ გადუწყვიტეს, მისი ლოგინი სახრჩობელას მიუდგეს. შეაბეს ყელზე თოკი და ლოგინი სწრაფად ქვეშიდამ გამოაცალეს. აი ყოველივე ამის მნახველია გოცი. უკანასკნელ წლებში გოცმა საზღვარ-გარედ წამოსვლა მოახერხა. მარტში თავის სახლობით იტალიაში მოგზაურობდა. რუსეთის ჟანდარმერია სიპიაგინის მკვლელობაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდა. ხოლო შემდეგ ანარქისტობა დასწამა იტალიის მმართველობასთან. დიდი იმედი ჰქონდა იტალიის მთავრობისა—გოცს ხელში ჩავიგდებსო. პირველ ხანში მართლაც გოცის საქმე ცუდად დატრიალდა. ხოლო თავისუფალ ყველა ქვეყნებში ამისგამო დიდი საზოგადოებრივი მოძრაობა გაჩნდა. ეს მოძრაობა იტალიასაც მოედო და იტალიის მთავრობამ რუსეთის მთავრობას აღარ მისცა მრავლად ტანჯული გოცი. იტალიის პარლამენტში რადიკალ ლუცატმა, სხვათა შორის, სთქვა ამის გამო: „იტალია მზად არის პატივისცემით მიეგებოს სხვა-დასხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელთა მოსვლას, ხოლო უარს ამბობს სდევნოს ის პირნი, რომელნიც პოლიტიკურ კითხვებში სახელმწიფოთა ამ წარმომადგენელთ არ ეთანხმებიან და იტალიის ერი თავს ვერ შეირცხვენს ამ გვირგვინოსანთა სიამოვნებისათვისო".

---

ვაცხადებთ, რომ ვკისრულობთ მსურველთ დაუბეჭდოთ: არალეგალური წიგნები, წერილები, წიგნაკები, პროკლამაციები და გაზეთები.

რედაქციის და ადმინისტრაციის ადრესი:
**51, rue Saint-Sauveur. PARIS.**